

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფარკონი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	8
4. ძირითადი საშუალებები	14
5. გრძელვადიანი მოთხოვნები.....	15
6. არამატერიალური აქტივები	15
7. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	15
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	16
10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება.....	16
11. მოკლევადიანი სესხები.....	17
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	17
13. დარიცხული ვალდებულებები	17
14. ამონაგები.....	17
15. სხვა შემოსავალი	18
16. მიწოდების ხარჯები.....	18
17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	18
18. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	19
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდომი მოვლენები	20
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	20

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3 913 825	3 467 749
გრძელვადიანი მოთხოვნები	5	1 243 090	1 308 619
არამატერიალური აქტივები	6	19 099	22 516
		5 176 014	4 798 884
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	7	240 540	156 738
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2 037 177	3 494 911
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	3 043 420	3 115 628
დარიცხული მოთხოვნები		324 258	251 512
საგადასახადო აქტივები		35 436	-
		5 680 831	7 018 789
მთლიანი აქტივები		10 856 845	11 817 673
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		35 100	35 100
გაუნაწილებელი მოგება		1 174 718	1 788 591
რეზერვები და დაფინანსება		102 993	102 993
		1 312 811	1 926 684
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	5 673 289	5 813 590
		5 673 289	5 813 590
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	783 856	739 679
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2 271 222	2 634 903
საგადასახადო ვალდებულებები		-	22 855
დარიცხული ვალდებულებები	13	815 667	679 962
		3 870 745	4 077 398
მთლიანი ვალდებულებები		9 544 034	9 890 988
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		10 856 845	11 817 673

მამუკა ალფაიძე
დირექტორი

თამარ ჭაბუკიანი
ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3 913 825	3 467 749
გრძელვადიანი მოთხოვნები	5	1 243 090	1 308 619
არამატერიალური აქტივები	6	19 099	22 516
		5 176 014	4 798 884
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	7	240 540	156 738
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2 037 177	3 494 911
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	3 043 420	3 115 628
დარიცხული მოთხოვნები		324 258	251 512
საგადასახადო აქტივები		35 436	-
		5 680 831	7 018 789
მთლიანი აქტივები		10 856 845	11 817 673
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		35 100	35 100
გაუნაწილებელი მოგება		1 174 718	1 788 591
რეზერვები და დაფინანსება		102 993	102 993
		1 312 811	1 926 684
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	5 673 289	5 813 590
		5 673 289	5 813 590
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	783 856	739 679
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2 271 222	2 634 903
საგადასახადო ვალდებულებები		-	22 855
დარიცხული ვალდებულებები	13	815 667	679 962
		3 870 745	4 077 398
მთლიანი ვალდებულებები		9 544 034	9 890 988
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		10 856 845	11 817 673

მამუკა ალფაიძე
დირექტორი

თამარ ჭაბუკიანი
ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	14	5 952 973	5 578 925
თვითღირებულება	9	(5 533 728)	(4 793 569)
საერთო მოგება		419 245	785 356
სხვა შემოსავლები	15	139 585	390 024
მიწოდების დანახარჯები	16	(368 728)	(485 375)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(651 971)	(505 357)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		48 639	(132 780)
სხვა ხარჯები		(34 146)	(119 330)
საოპერაციო მოგება		(447 376)	(67 462)
ფინანსური ხარჯი		(166 497)	(166 093)
მოგება დაბეგვრამდე		(613 873)	(233 555)
მოგების გადასახადი			
წლის წმინდა ზარალი		(613 873)	(233 555)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	35 100	0	2 022 146	102 993	2 160 239
წმინდა მოგება/დაუფარავი ზარალი			(233 555)		(233 555)
2023 წლის 31 დეკემბერი	35 100	0	1 788 591	102 993	1 926 684
წმინდა მოგება/დაუფარავი ზარალი			(613 873)		(613 873)
2024 წლის 31 დეკემბერი	35 100	0	1 174 718	102 993	1 312 811

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღწევებიდან მიღებული ფულადი სახსრები	5 324 778	4 926 939
მიღებული პროცენტები	87 765	114 378
სხვა შემოსავლის სახით მიღებული ფული	22 362	-
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(3 700 183)	(5 491 091)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(628 903)	(515 054)
გადახდილი გადასახადები	(759 557)	(627 120)
გადახდილი პროცენტები	(109 047)	(127 234)
მიღებული ავანსი	270 595	719 163
დაბრუნებული გადასახადი	99 267	93 864
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	607 077	(906 155)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(484 815)	-
შემოსავალი გაცემული სესხიდან	50 000	40 000
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(434 815)	40 000
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	350 000	792 745
სესხის დაფარვა	(415 301)	(295 643)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(65 301)	497 102
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტებისა ზრდა	106 961	(369 053)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	156 738	556 048
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(23 159)	(30 257)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	240 540	156 738

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „ფარკონი“-სათვის შენიშვნა 2-ში მითითებული მომზადების საფუძვლების შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ფარკონი“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, ქ. ქუთაისი, ხეთაგუროვის 22ა; რეგისტრირებულია: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 15/05/1997 წელს, ს/კ - 212696929. საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ.#51.

2024 წლის 26 დეკემბრის პარტნიორთა გადაწყვეტილებით კომპანიის 51%-იანი წილის მფლობელმა შპს „VIGOR GROUP“-მა წილის 3% მიყიდა კომპანიის 49 %-იანი წილის მფლობელ ფიზიკურ პირს – მამუკა ალფაიძეს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ფარკონი“-ს პარტნიორები არიან:

მამუკა ალფაიძე - 52%

შპს „VIGOR GROUP“ - 48%

შპს „VIGOR GROUP“-ი რეგისტრირებულია ლატვიის რესპუბლიკის საწარმოთა რეესტრში 26/07/2013 წელს სარეგისტრაციო ნომერი: 40103694438 იურიდიული მისამართი: რიგა ძელზაგას ქ.#74, კ 1-2 LV-1082.

შპს „VIGOR GROUP“-ი საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი ფიოდორ მახატილო უკრაინის მოქალაქე. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ლატვიის რესპუბლიკა.

საწარმოს უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება პარტნიორთა საერთო კრების მიერ.

საწარმო საქართველოში სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს შემდეგი საქმიანობის კოდებით:

C.10.83.1 ჩაის გადამამუშავება

C.10.84.0 სუნელ-სანელებლებისა და საკაჭმ-სანელებლების წარმოება

G.46.37.0 საბითუმო ვაჭრობა ყავით ჩაით კაკაოთი და სანელებლებით

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2024 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, ასევე შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და 2023 წლის შესადარის ინფორმაციას.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდალურ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, ამზადებს დარიცხვის მეთოდით. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სადარიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად საწარმო იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან, 2018 წლის 01 იანვრიდან. აღნიშნული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შეძენის ფაქტიური ღირებულების საფუძველზე.

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

საწარმოს ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

- ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;
- გაცემული სესხები - ფინანსური აქტივი;
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ფინანსური აქტივი;
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება - ფინანსური ვალდებულება.
- სასესხო დავალიანება - ფინანსური ვალდებულება.

3.1.1 თავდაპირველი აღიარება და შეფასება

როდესაც საწარმო გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, იმ მომენტიდან წარმოებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველადი აღიარებისას, საწარმო მათ შეფასებას ახდენს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის ან მისი სახელშეკრულებო კონტრაპენტისთვის. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

3.1.2 ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის შემდგომი აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

3.1.3 თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების აღიარება და შეფასება

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ცალ-ცალკე აფასებს გაუფასურებას შემდეგი ფინანსურაქტივებისთვის:

(ა) ყველა წილობრივი ინსტრუმენტი, მათი მნიშვნელობის მიუხედავად; და

(ბ) სხვა ფინანსური აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან (როგორცაა, მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), საწარმომ უნდა აღადგინოს (უკუგატარებით) წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

3.1.4 ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ანვადა გაუფა.

3.2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღების თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ

ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

საწარმო ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

3.5 ბანკის სესხები და გარანტიები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმო მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადაამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.7 წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტიური ღირებულებით, ზარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც საწარმომ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა საწარმოს. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვითება მოგება-ზარალიდან, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონლის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის განგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

- შენობა-ნაგებობები - 10-30წ
- მანქანა-დანადგარები - 5-20 წ
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5-10 წ
- სატრანსპორტო საშუალებები - 10 წ

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან

ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

3.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე: სამკურნალო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობები - მათი გამოყენების ვადის საფუძველზე; პროგრამული უზრუნველყოფისათვის 10 წელი.

3.10 საწესდებო კაპიტალი

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს პარტნიორების მიერ და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ საწარმოს პარტნიორების გადაწყვეტილებით.

3.11 ამონაგები

ამონაგები მზა პროდუქციისა და საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი (პროდუქცია) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

თუ პრაქტიკულად მომსახურების გაწევა ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება, როგორც ამონაგები და ხარჯი, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

3.12 გრანტები

საწარმო სახელმწიფო გრანტს აღიარებს შემდეგნაირად:

- გრანტს, რომელიც არ შეიცავს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავალში აღიარებს მაშინ, როდესაც გრანტის შემოსულობები მიღებადი გახდება.
- გრანტს, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ აღიარებს, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება.
- ხოლო თუ საწარმო მანამდე იღებს გრანტს, სანამ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, ასეთ გრანტს აღიარებს, როგორც ვალდებულებას.
- საწარმო გრანტებს აფასებს მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით.

3.13 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებს.

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით,

საგადასახადო კონტროლი ხორციელდება ჯგუფურ (ნაერთ) საგადასახადო დავალიანებაზე, ამიტომ საწარმო საგადასახადო მოთხოვნებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე

3.14 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება- ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.15 დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში.

3.16 შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

საწარმო აკეთებს შეფასებებს და მოსაზრებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად შეფასებულია და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასებები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავენ:

მატერიალური აქტივების და არამატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდი.

მატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის ექსპლუატაციის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ, ფიზიკურ ცვეთას და გარემოებას, რომელშიც აქტივი მუშაობს. ცვლილებებმა ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ამორტიზაციის ნორმების კორექტირება.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება ეფუძნება საწარმოს მიერ კონკრეტული კლიენტის ანგარიშების ინდივიდუალურ შეფასებას. თუ საწარმო განსაზღვრავს, რომ არსებობს ობიექტური მტკიცებულება დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკის მახასიათებლებით არსებული დებიტორის გაუფასურებისა, ის ასახავს გაუფასურების ზარალს.

3.17 ურთიერთდაკავშირებული მხარეები

მხარეები ურთერთდაკავშირებულები არიან თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისათვის საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი შენიშვნები	შენიშვნები ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2023	106 450	44 227	2 163 731	1 456 143	37 931	90 975	118 807	4 018 264
შემოსვლა	-	-	47 521	626 932	2 041	38 842	-	715 336
გასვლა	-	(44 227)	-	-	-	-	-	(44 227)
31 დეკემბერი 2024	106 450	-	2 211 252	2 083 075	39 972	129 817	118 807	4 689 373
ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2023	-	-	(120 637)	(353 475)	(15 764)	(21 847)	(38 792)	(550 515)
პერიოდის ცვეთა	-	-	(73 750)	(126 221)	(4 909)	(8 508)	(11 645)	(225 033)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	-	(194 387)	(479 696)	(20 673)	(30 355)	(50 437)	(775 548)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2023	106 450	44 227	2 043 094	1 102 668	22 167	69 128	80 015	3 467 749
31 დეკემბერი 2024	106 450	-	2 016 865	1 603 379	19 299	99 462	68 370	3 913 825

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

სს „პროგრესი“ ბანკი“-ს მიერ მსესხებლის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, შესაკუთრებულ ბანკის სასარგებლოდ, იზოტივით დატვირთულია შპს „ფარკონი“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. კერძოდ, მიწა და შენობა-ნაგებობა.

5. გრძელვადიანი მოთხოვნები

საწარმოს გრძელვადიანი მოთხოვნებიდან 1 063 090 ლარი წარმოადგენს სხვა დაკავშირებული მხარისთვის შპს „ქართული დაფნა“-სთვის მისესხებულ თანხებს და 180 000 ლარი წილის რეალიზაციიდან წარმოქმნილ მოთხოვნას.

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისათვის საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	პატენტები	სამკურნალო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2023	3 644	33 000	30 525	67 169
შემოსვლა	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	3 644	33 000	30 525	67 169
ცვეთა და გაუფასურება				
31 დეკემბერი 2023	(185)	(33 000)	(11 468)	(44 653)
პერიოდის ამორტიზაცია	(364)	-	(3 053)	(3 417)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	(549)	(33 000)	(14 521)	(48 070)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	3 459	-	19 057	22 516
31 დეკემბერი 2024	3 095	-	16 004	19 099

პატენტი მოიცავს 10 წლის ვადით ბრენდის ნიშნის დაპატენტებას ოთხ ქვეყანაში.

სხვა არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამას "აპექსი", რომლის გამოყენების ვადა განსაზღვრულია 10 წლით.

7. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
წადი ფული ეროვნულ ვალუტაში	475	26 235
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	131 484	129 380
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	108 581	1 123
სულ	240 540	156 738

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	2 044 253	3 506 129

საექვო მოთხოვნების კორექტირება	(7 076)	(11 218)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	2 037 177	3 494 911
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	-	-
სულ	2 037 177	3 494 911

საწარმო საექვო ვალების დარეზერვებას ანხორციელებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მეთოდით.

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2024	2023
საქონელი	1 988 964	2 429 668
ნედლეული და მასალები	659 037	411 122
დაუმთავრებელი წარმოება	156 438	12 455
მზა პროდუქცია	179 116	211 557
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	59 865	50 825
სულ	3 043 420	3 115 628

საწარმო მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას. მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 5 533 728 ლარი (2023 წელს 4 793 569 ლარი).

10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

ა) საწარმოს 2020 წლის 06 აგვისტოს ხელშეკრულებით მიღებული აქვს გრძელვადიანი არაუზრუნველყოფილი სესხი ურთიერთდაკავშირებული მხარისგან შპს „VIGOR GROUP“. სესხი მიღებულია უცხოურ ვალუტაში, რომლის ნაშთი პერიოდის ბოლოს შეადგენს 1 259 857 ევროს (ექვივალენტი ლარში 3 748 452 ლარი.) წლიური საპროცენტო განაკვეთი 2%. გადაფასების შედეგად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სესხის ნაშთი შეადგენს 3 692 137 ლარს.

ბ) საწარმოს 2021 წლის 09 ივნისის შეთანხმებით მიღებული აქვს გრძელვადიანი არაუზრუნველყოფილი სესხი ურთიერთდაკავშირებული მხარისგან შპს „VIGOR GROUP“. სესხი მიღებულია უცხოურ ვალუტაში, რომლის ნაშთი პერიოდის ბოლოს შეადგენს 326 488 დოლარს (ექვივალენტი ლარში 878 057 ლარი.) გადაფასების შედეგად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სესხის ნაშთი შეადგენს 916 387 ლარს.

გ) საწარმოს 2023 წლის 11 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული აქვს გრძელვადიანი არაუზრუნველყოფილი სესხი ურთიერთდაკავშირებული მხარისგან შპს „VIGOR GROUP“. სესხი მიღებულია უცხოურ ვალუტაში, რომლის ნაშთი პერიოდის ბოლოს შეადგენს 155 000 ევროს (ექვივალენტი ლარში 460 376 ლარი.) წლიური საპროცენტო განაკვეთი 5%. გადაფასების შედეგად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სესხის ნაშთი შეადგენს 454 243 ლარს.

ასევე სს „პროგრესიტი ბანკი“-სგან მიღებული აქვს ოთხი სესხი:

ა) 2021 წლის 10 თებერვალს ხელშეკრულებით საწარმოს მიღებული აქვს 410 000 ლარის ოდენობით გრძელვადიანი აგრო სესხი. წლიური საპროცენტო განაკვეთი - 12 %, კრედიტის ვადა - 60 თვე. ნაშთი პერიოდის ბოლოს 17 905 ლარი.

ბ) 2022 წლის 05 აპრილს ხელშეკრულებით საწარმოს მიღებული აქვს 450 000 ლარის ოდენობით გრძელვადიანი აგრო სესხი. წლიური საპროცენტო განაკვეთი - 15 %, კრედიტის ვადა - 60 თვე. ნაშთი პერიოდის ბოლოს 154 406 ლარი.

გ) 2023 წლის 16 ოქტომბერს ხელშეკრულებით საწარმოს მიღებული აქვს 250 000 ლარის ოდენობით გრძელვადიანი აგრო სესხი. წლიური საპროცენტო განაკვეთი - 13.7 %, კრედიტის ვადა - 60 თვე. ნაშთი პერიოდის ბოლოს 161 251 ლარი.

დ) 2024 წლის 22 აგვისტოს ხელშეკრულებით საწარმოს მიღებული აქვს 350 000 ლარის ოდენობით გრძელვადიანი აგრო სესხი. წლიური საპროცენტო განაკვეთი - 12.60 %, კრედიტის ვადა - 60 თვე. ნაშთი პერიოდის ბოლოს 276 960 ლარი.

გრძელვადიანი სესხების ჯამური ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს - 5 673 289 ლარს, ხოლო 2023 წლის ბოლოს გრძელვადიანი სესხის ჯამური ნაშთი შეადგენდა - 5 813 590 ლარს.

11. მოკლევადიანი სესხები

ა) საწარმოს 2022 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულებით მიღებული აქვს მოკლევადიანი არაუზრუნველყოფილი სესხი SIA „BioIngredients TN“. სესხი მიღებულია უცხოურ ვალუტაში, რომლის ნაშთი პერიოდის ბოლოს შეადგენს 150 000 ევროს (ექვივალენტი ლარში 446 295 ლარი.) გადაფასების შედეგად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სესხის ნაშთი შეადგენს 439 590 ლარს.

ბ) სხვა მოკლევადიანი სესხები 344 266 ლარი წარმოადგენს გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილს.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2024	2023
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	588 938	502 869
მიღებული ავანსები	1 677 064	2 132 034
გადასახდელი ხელფასები	800	-
საკომისიო გადასახდელები	4 420	-
სულ	2 271 222	2 634 903

13. დარიცხული ვალდებულებები

საწარმოს დარიცხული ვალდებულებები 2024 და 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
გადასახდელი პროცენტები	439 711	301 764
საპენსიო ვალდებულებები	11 671	13 913
გადასახდელი დივიდენდები	364 286	364 286
სულ	815 667	679 962

14. ამონაგები

საწარმოს ამონაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი რეალიზიციიდან	5 984 895	5 633 801
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	(31 922)	(54 876)

სულ	5 952 973	5 578 925
-----	-----------	-----------

15. სხვა შემოსავალი

საწარმოს სხვა შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
სუბსიდირებული პროცენტი	81 149	109 905
წილის რეალიზაცია	-	65 068
მიღებული ავანსის ჩამოწერა	-	77 830
გრანტი	-	135 000
სხვა შემოსავლები	58 436	2 221
სულ	139 585	390 024

16. მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
რეკლამის ხარჯები	(11 368)	(23 673)
შრომის ანაზღ. და საკომისიო გასამრჯელო	(34 626)	(78 330)
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(16 279)	(21 722)
დიზაინერული მომსახურების ხარჯი	(13 818)	-
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(192 015)	(244 719)
სერთიფიცირების ხარჯი	(17 773)	(10 522)
მიწოდების სხვა ხარჯები	(82 849)	(106 409)
სულ	(368 728)	(485 375)

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(348 385)	(273 073)
სოციალური დანარიცხები	(9 915)	(8 917)
კომუნიკაციის ხარჯი	(20 652)	(7 632)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(4 200)	(4 900)
ცვეთა და ამორტიზაცია	(16 834)	(17 008)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(45 567)	(34 974)
მივლინების ხარჯი	(58 625)	(57 247)
ბანკის საკომისიო	(10 387)	(14 712)
საკონსულტაციო ხარჯი	(59 406)	(24 638)
კომპიუტერის ხარჯი	(5 116)	(3 223)
საკანცელარიო ხარჯი	(3 278)	(3 138)
დაზღვევის ხარჯი	(14 731)	(16 411)
ფიტო-სანიტარული და ლაბორატორიული მომსახურება	(12 461)	(2 079)
სხვა საერთო ხარჯი	(42 414)	(37 405)
სულ	(651 971)	(505 357)

18. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ: პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ, კონტროლდებიან, ან ერთობლივი კონტროლის ქვეშ არიან ორგანიზაციასთან, მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მასზე, ან ფლობენ საერთო კონტროლს მასზე; არიან ძირითადი მმართველი პერსონალი ან მათი ოჯახის წევრები; წარმოდგენენ ზემოთ ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს; ან პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია ხმის უფლება ასეთ საწარმოში ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მასზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება:

	2024		2023	
	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობა
დარიცხული ხელფასები	30 676	64 097	20 408	30 829
	30 676	64 097	20 408	30 829

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების მიმდინარე ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და გარიგების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი შემდეგია:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	ბენეფიციარი მესაკუთრე	2024 სხვა დაკავშირებული მხარეები	ბენეფიციარი მესაკუთრე	2023 სხვა დაკავშირებული მხარეები
აქტივები				
გრძელვადიანი მოთხოვნები		1 063 090		1 128 619
სასესხო მოთხოვნები ინვესტიციის გაყიდვიდან	180 000	-	91 800	88 200
სავაჭრო მოთხოვნები		32 642		32 140
დარიცხული მოთხოვნები		324 258		251 512
სულ აქტივები	180 000	1 419 991	91 800	1 500 471
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		732		-
გრძელვადიანი სესხები		5 024 437		5 191 816
დარიცხული ვალდებულება		752 360		636 678
სულ ვალდებულებები		5 777 529		5 828 494

	2024 სხვა დაკავშირებული მხარეები	2023 სხვა დაკავშირებული მხარეები
შემოსავლები და ხარჯები		
შემოსავლები		

შპს „ფარკონი“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შემოსავალი რეალიზაციიდან	752 342	-
საპროცენტო შემოსავლები	79 357	86 590
სულ	831 699	86 590

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდომი მოვლენები

საწარმომ 2025 წელს ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში:

ა) 2025 წლის 27 იანვრის ხელშეკრულებით მიიღო არაუზრუნველყოფილი გრძელვადიანი სესხი SIA „BioIngredients TN“-სგან 150 000 ევროს ოდენობით. წლიური საპროცენტო განაკვეთი - 4 %, კრედიტის ვადა - 108 თვე.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაიცა 2025 წლის 23 სექტემბერს.